ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3262122

ნომერი: AR1500696

თარიღი : 07.05.2017

გაცემის თარიღი : 24.05.2017

გაცნობის თარიღი : 24.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N 015/127) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ მდინარაძე პ/ნ 01024009459
- თბილისი ა.ცაგარელის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 სექტემბრის #908 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 7 მაისის AR1500696 განცხადებით მომართა იოსებ მდინარაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 22 სექტემბრის #908 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ვინაიდან ხდება საკადასტრო ერთეულის დამატება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ქ. თბილისში, ვაკე-სანურთალოს რაიონში, ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდი: #01.14.16.015.127; ფართობი: 1200 კვ.მ) ზონის შესაბამისი ძირითადი დასაშვები სახეობების განსათავსების მიზნით დამტკიცდა 2009 წლის 22

სექტემბრის #908მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დოკუმენტაციის განხილვისას დადგინდა, რომ დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2) და განცხორციელებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება. ვინაიდან, პროექტი შეთანხმებულია, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2009 წლის 22 სექტემბრის #908 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 სექტემბრის #908 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.14.16.015.127; ფართობი 1200 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017192889, რეგისტრაციის თარიღი: 21/03/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 სექტემბრის #908 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ფუნქციურ ზონად დაფიქსირებულ იქნეს: საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 სექტემბრის #908 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.